

საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას
 შორის "საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ"
 შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით უწყებების მიერ წარმოდგენილი
 შენიშვნების განხილვის შედეგების ცხრილი

შენიშვნის ავტორი	შენიშვნა	შედეგი
საგარეო საქმეთა სამინისტრო (18.04.2007 №2/5972-14) (03.04.07 №212/14)	1. შეთანხმების პრეამბულასა და შემდგომში მოელ ტექსტში სიტყვები "მხარეების" და "მხარეებს" შეიცვალოს სიტყვით "მხარეთა."	- შენიშვნა გათვალისწინებულია.
	2. პირველი მუხლის გ) ქვეპუნქტში სიტყვა "მგზავრების" შეიცვალოს სიტყვით "მგზავრთა."	- შენიშვნა გათვალისწინებულია.
	3. პირველი მუხლის დ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "საბაჟო სამართალდარღვევა" ნიუშნავს საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნათა ნებისმიერ დარღვევას ან დარღვევის მცდელობას."	- შენიშვნა გათვალისწინებულია.
	4. მე-2 მუხლის პირველ პუნქტში და შემდგომ მოელ ტექსტში ტერმინები "სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობა", "შიდა კანონმდებლობა", შეიცვალოს სიტყვით "შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა."	- შენიშვნა გათვალისწინებულია.
	5. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში ტერმინი "აღებულ ვალდებულებებს" შეიცვალოს სიტყვით "ნაკისრ ვალდებულებებს."	- შენიშვნა გათვალისწინებულია.
	6. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტში სიტყვა "ცნობილი" შეიცვალოს სიტყვით "მხილებული."	- შენიშვნა გათვალისწინებულია.
	7. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: თხოვნის საფუძველზე დოკუმენტების დღიების გადაცემა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ოფიციალურად დამოწმებული ასლები არასაკმარისია თხოვნის შესასრულებლად."	- შენიშვნა გათვალისწინებულია.
	8. მე-12 მუხლის პირველ პუნქტში და შემდგომ მოელ ტექსტში სიტყვა "ორგანოების" შეიცვალოს სიტყვით "ორგანოთა."	- შენიშვნა გათვალისწინებულია.
	9. მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "საბაჟო სამსახურების თანამდებობის პირთა გამოსვლა ექსპერტის ან მოწმის სახით უნდა მოხდეს მხარეთა მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, აგრეთვე იმ საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების შესაბამისად, რომელთა მონაწილეობაც წარმოადგენენ მხარეთა	- შენიშვნა გათვალისწინებულია.

სახელმწიფოები.”

10. მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: “კონკრეტულ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელთა შესრულებას ითვალისწინებს თხოვნა.”

11. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა “იგივე” შეიცვალოს სიტყვით “იმავე”.

12. 25-ე მუხლში სიტყვა “განმარტების” შეიცვალოს სიტყვით “ინტერპრეტაციის.”

13. 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: “ხელშეშემკვრელი მხარეები ამ შეთანხმების შესრულებისათვის აუცილებელი კონსულტაციების ჩატარების მიზნით ერთმანეთს შეხვდებიან საჭიროების მიხედვით, მაგრამ სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც, თუ ისინი წინასწარ არ შეთანხმდებიან, რომ ამგვარი შეხვედრის ჩატარება აუცილებლობას არ წარმოადგენს.”

- შენიშვნა გათვალისწინებულია.

- შენიშვნა გათვალისწინებულია.

- შენიშვნა გათვალისწინებულია.

- შენიშვნა გათვალისწინებულია.

იუსტიციის
სამინისტრო
(21.02.2007
№01/23/03-
1308)

1. მიზანშეწონილია, პროექტის მე-10 მუხლში ფრაზას “დახმარებას აღმოუჩენს” შემდეგომ დაემატოს ფრაზა “თხოვნის წარმდგენ საბაჟო სამსახურს.”

2. მიზანშეწონილია, შეთანხმების პროექტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვროს რა შემთხვევებში ხდება კონტროლირებადი მიწოდების მეთოდის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

3. შეთანხმების პროექტის მე-19 და მე-20 მუხლები შესაბამისობაშია მოსაყვანი ერთმანეთთან. კერძოდ, მიღებული ინფორმაციის დაცვის დონე უნდა განისაზღვროს მიმწოდებელი და არა მიმღები ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ეს წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტშია გათვალისწინებული.

- შენიშვნა გათვალისწინებულია

- კონტროლირებადი მიწოდების მეთოდის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო სამსახურების მიერ შესაძლოა მოხდეს სრულიად სხვადასხვა მიზეზით განპირობებულ შემთხვევებში. ამ მიზეზების ჩამოთვლას შეთანხმების ფორმატი არ ითვალისწინებს.

- აღნიშნულ შემთხვევაში წინააღმდეგობას ადგილი არ აქვს. ამ მუხლების დებულებები პროექტში ჩამოყალიბებულია მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებული ორმხრივი სამოდელო შეთანხმების საფუძველზე გადაცემულ ინფორმაციას მართლაც უნდა ჰქონდეს დაცვის ის დონე რომელიც დააკმაყოფილებს მიმწოდებელი მხარის მოთხოვნას (მე-20 მუხლი), მაგრამ ამასთან, უნდა იყოს სულ ცოტა იმავე დონის, რომელიც დაწესებულია მკავში ინფორმაციისათვის მიმღები მხარის კანონმდებლობით (მე-19 მუხლი).

4. მე-20 მუხლის მე-3 პუნქტში ფრაზას "№1 დანართში", მიზანშეწონილია წინ დაემატოს ფრაზა "წინამდებარე შეთანხმების."

- შენიშვნა გათვალისწინებულია.

5. პროექტის 22-ე მუხლში უნდა განისაზღვროს რას გულისხმობს ფრაზა "მნიშვნელოვანი მოცულობის ხარჯები."

- თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხის განსაზღვრა - არის თუ არა ხარჯები მნიშვნელოვანი და შესაბამისად უნდა მოხდეს თუ არა მათი განაწილება მხარეებს შორის, წარმოადგენს მხარეთა საბაჟო სამსახურების კომპეტენციას.
- შენიშვნა გათვალისწინებულია.

6. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტში ფრაზა "უწყებრივ ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს", მართებულია შეიცვალოს ფრაზით "ნორმატიულ აქტებს."

- შენიშვნა გათვალისწინებულია. სიტყვები: "საბაჟო სამსახურების თავისანთი კომპეტენციის ფარგლებში" ამოღებულია.

7. პროექტის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება არ არის უფლებამოსილი დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება. "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება იდება საერთაშორისო აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოების სახელით.

8. შეთანხმების პროექტის დანართი I-ის მე-5 პუნქტში დასაზუსტებელია, რა იგულისხმება ტერმინში "რემედიუმი."

- აღნიშნული ტერმინი შეიცვალა სიტყვით: "განმარტება."

9. შეთანხმების პროექტის პირველი მუხლის "ო" პუნქტში სიტყვას "მხარეების", ასევე მე-2 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვებს "მხარეების" და "მხარეთა", ასევე პუნქტის "დ" ქვეპუნქტში სიტყვას "მხარის", მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვას "მხარეების", მე-13 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვას "მხარის", მიზანშეწონილია წინ დაემატოს სიტყვა "ხელშეკრულები".

- შენიშვნა გათვალისწინებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო
(20.02.07
№6/7/9-711)

1. მიზანშეწონილია შეთანხმების პროექტის პირველი მუხლის "ა" ქვეპუნქტში და შესაბამისად მთელ ტექსტში ტერმინი "საბაჟო სამსახური" შეიცვალოს ტერმინით "კომპეტენტური ორგანო", რადგან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ წარმოადგენს საბაჟო სამსახურს.

- ამ შეთანხმების მიზნებისათვის ტერმინის: "საბაჟო სამსახური" ქვეშ იგულისხმება ყველა ის ორგანო (თავისთავი კომპეტენციის ფარგლებში), რომლებსაც შეთანხმების განხორციელებაზე ეკისრებათ პასუხისმგებლობა. შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით თავის წინა დასკვნაში

	<p>2. მიზანშეწონილია ამავე მუხლის ამოღებულ იქნას ფრაზა "სხვა აქტებით".</p>	<p>(01.02.06 7/3/9-457), აგრეთვე სხვა ქვეყნებთან ანალოგიურ პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილ დასკვნებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ ტერმინთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამს. პროექტი სომხეთის მხარესთან შეთანხმებულია წარმოდგენილი სახით და მასში აღნიშნული შესწორების შეტანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.</p> <p>- შენიშვნა გათვალისწინებულია.</p>
--	--	---